

ოქმი N4
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის

2017 წელი, 10 თებერვალი
ქ. ოზურგეთი, 13⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე: გ.კობალაძე,
 თავმჯდომარის მოადგილე: ნ. გოგუაძე,
 კომისიების თავმჯდომარეები: ი.საჯაია, ლ.ბიგვავა, ლ.თოიძე, მ.მახარობლიძე.
 ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ.ორაგველიძე, თ. ნადირიძე.
 სხდომას ასევე ესწრებოდნენ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა
 და მერიის პასუხისმგებელი პირები.

არ ესწრებოდნენ: თ. სალუქვაძე, ნ.ტაბატაძე, კ. კვაჭაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე გ. კობალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (აღნაგობის უფლებით) გაცემის თაობაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და ითხოვა მერისათვის თანხმობის მისაცემად საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

აზრი გამოთქვას: გ. კობალაძე ამ ფართს სარგებლობს განმცხადებელი წლების მანძილზე, სჭირდება დაკანონება.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე

დამტკიცდა ერთხმად

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“- ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე
თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

მომხსენებელმა ლ. ბიგვავამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, შენიშვნები და რეკომენდაციები არ შემოსულა. მან ითხოვა საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე, მხოლოდ ფორმულაში არის უზუსტობა - რისი „საბაზისო განაკვეთი“ – 0,24 ლ. არის მითითებული, ეს არის მიწის წლიური ღირებულების „საბაზისო განაკვეთი“ - შესასწორებელია.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე

დამტკიცდა ერთხმად

3. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

მომხსენებელმა ლ. ბიგვავამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი, რომელზედაც მიმდინარეობდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. გადავწყვიტეთ შევიტანოთ ცვლილებები სათამაშო ბიზნესის გადასახადებში. ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის საფუძველზე გადასახადები კარგია თუ იქნება მინიმალური, რომელიც თავსებადია კანონთან. მან ითხოვა პროექტი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

აზრი გამოთქვას: ნ. ორაგველიძე - მე არ ვეთანხმები გადასახადების შემცირებას, პირიქით გავზრდიდი გადასახადებს, რათა ადამიანები ვერ შევიდნენ სათამაშოდ და ეს ობიექტები დაიხუროს.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე

დამტკიცდა ერთხმად

4. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა წარმოადგინა საკრებულოს კომისიების მიერ მერიის დებულების კორექტირებული ვარიანტი და ითხოვა საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

აზრი გამოთქვას: ი. საჯაია - განიხილა კომისიებმა და ფრაქცია „ოზურგეთი ჩემი ქალაქია“ შევიტანეთ შესაბამისი ცვლილებები და დავდეთ დასკვნა.

დაადგინეს: საკითხი გატანილი იქნას საკრებულოზე სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად
დამტკიცდა ერთხმად

5. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა წარმოადგინა საკრებულოს კომისიების მიერ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების კორექტირებული ვარიანტი და ითხოვა საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

დაადგინეს: საკითხი გატანილი იქნას საკრებულოზე სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად
დამტკიცდა ერთხმად

6. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა წარმოადგინა საკრებულოს კომისიების მიერ მერიის სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახურის დებულების კორექტირებული ვარიანტი და ითხოვა საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

დაადგინეს: საკითხი გატანილი იქნას საკრებულოზე სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად
დამტკიცდა ერთხმად

7. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე

დამტკიცდა ერთხმად

8. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ უფლებამოსილების შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის გადაგზავნილი პეტიციების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხსენებელი: გელა კობალაძე

მომხსენებელმა გ. კობალაძემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო მერის წერილი პეტიციის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ.

დაადგინეს: პეტიციის განხილვის ვადა გაგრძელდეს ერთი თვით

დამტკიცდა ერთხმად

საკრებულოს სხდომა ჩატარდება 13 თებერვალს 12 საათზე

საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბიუროს წევრებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გელა კობალაძე

გელა კობალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა